საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

ქ. ბათუმი 10 იანვარი, 2019 წ.

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტისა და გრიპის ვირუსის გავრცელების პრევენციისათვის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეკომენდაციის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №64 დადგენილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, დადგენილების **პირველი პუნქტის ა), დ), ე), ვ), ზ), თ), ი) და კ) ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,ა) 2018 - 2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი ყველა საფეხურზე დაიწყოს 2018 წლის 1 ოქტომბერს და დასრულდეს 2019 წლის 2 თებერვალს (სასწავლო პროცესი შეჩერდეს 11 იანვრიდან 19 იანვრის ჩათვლით);

დ) შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 4 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით;

ე) დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 25 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით;

ვ) 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2019 წლის 4 მარტამდე;

ზ) გაზაფხულის სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობა დაიწყოს 2019 წლის 4 მარტს და დასრულდეს 22 ივნისს;

თ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 24 ივნისიდან 13 ივლისის ჩათვლით;

ი) გაზაფხულის სემესტრის დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2019 წლის 15 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით;

კ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2019 წლის 22 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით;

2. წინამდებარე დადგენილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

3. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი — მურაბ ხალვაში